საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 7 12/03/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 122-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ - საქართველოს კანონის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე 1150.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადასცეს სსიპ საქართველოს საპატრიარქოს უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, 99 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 13 ოქტომბრის №42 65 განკარგულება;
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11, ხელმოწერიდან ერთის თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე